

მწყმსი

მწყემსი კეთილმან სული
თვის დაძღვის ცხოვართთვის
იონ. 10—11.

№ 4

1883—1910 წ.

28 თებერვალი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: სიტყვა მათი მაღალ ყ-დ უსამღვდელოებისა, საქართველოს ექსარხის, მთავარ ეპისკოპოსის ინოკენტისაგან თქმული თბილისის სიონის კათედრის ეკლესიასა შინა პირველად შემობრძანების დროს (25 იანვარს 1910 წ.).—სულიერი ბძროლა, თარგმანი მღვდლის ი. ლუკიანოვისა.—უნაყოფო ლეღვის ხე, თარგმანი მღვდლის ი. ლუკიანოვისა.—სახარება მათესი, თავი მეექვსე. ა. პ.—თავად აზნაურთა კრება ქუთაისში („დროება“).—ახალი ამბები და შენიშვნები.—წერილი რედაქციის მიმართ ე. კანდელაკისა.—რედაქციისაგან—განცხადებანი.

ს ი ტ ყ ვ ა

მათი მაღალ ყ-დ უსამღვდელოებისა, საქართველოს ექსარხის, მთავარ ეპისკოპოსის ინოკენტისაგან, თქმული თბილისის სიონის კათედრის ეკლესიასა შინა პირველად შემობრძანების დროს (25 იანვარს 1910 წ.).

მივგებებით ღვთის მშობლის წილ-ხდომილ ივერიის ეკლესიას ანგელოსთაგან კაცთადმი მშვიდობისა და ღვთიური სათნოების დაღადითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს დაბადების დროს: „დიდება მაღალთა შინა დმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. მაღლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მამისა ჩვენისა და უფლისა იესო ქრისტესი, რომელმანცა დაძღო თავი თვისი ცოდვთა ჩვენთათვის. (გალატ. 1 თავი 2—4, მუხლ.), განისვენოს ეკლესიათა და უდაბნოთა, ქალაქთა და სოფელთა, მწყემსთა და სამწყსოთა ზედა ივერიის ეკლესიისათა.

ვღვევარ რა ამ ძველ ტაძარსა შინა, რომელიც მომავონებს თავის სახელით წმიდათა მოციქულთა სიონს, მე უნებლიეთ მაგონდება მოციქულთა დრო, როცა იგინი, აღქურვილნი უმაღლესი მეტყველების ნიჭითა, გაფანტულ იყვნენ

ყოველსა კუთხესა შინა ქვეყნისათა და კრძალით წარმოვიდგენ, ვენატრები და ვადიდებ წმიდათა მოციქულთა ანდრია პირველ-წოდებულსა, ბართლომესა და სიმონ კანანელსა, რომელთაც ამცნეს სიტყვა სახარებისა ქრისტესა ზედა მცხოვრებთა კავკასიონის მთისათა. ერთად ამ წმიდათა სახელთათანა და იქმნეს კურთხეულ სახელი ქალისა, ღვთის სიტყვის მსახურისა, ივერიის განმანათლებელის წმიდა ნინოსი. მისი მოციქულებრივი ღვაწლის სიდიადე აღავსებს გულსა კაცისასა სიამოვნებითი გრძნობითა. ცრემლინი სულიერი სიხარულისა იღვრებიან თვალთაგან, როცა ისმენ მოთხრობას მის მაცხოვრებით ღვაწლსა და ტანჯვაზე, რომელნიცა მიიღო მან საქართველოს მცხოვრებთათვის სახარების საქადაგებლად. მაგონდება წინასწარმეტყველებითი ლოცვა საქართველოს მეფის მირიანისა, რომელიც თანასწორ იყო ღირსებითა საბერძნეთის მეფას კონსტანტინესი—რამდენიმე საუკუნოებით აღსრულებული კავკასიის მცხოვრებთა შორის: „დმერთო ნინოსო, განაქვრე სიბუნევე თვალთა ჩემთა და ადვიარებ და გადიდე სახელსა შენსა“.

სიბნელე თვალთა მცხოვრებთა საქართველოისა და სხვათა მხარეთა თან-და-თან იფანტებოდა იესო ქრისტეს სიტყვის სხივითა: თითქმის ყველა



თემები კავკასიისა მათა და ვაკეთა მზად იყვნენ ქებად და დიდებად უფლის წმიდა სახელისა, რომ არ აღმოჩენილიყვნენ ამისათვის დაბრკოლებანი-სა-უკუნოებითი ბრძოლანი ივერიის სამეფოს თვით არსებობისათვის. თქვენ ჩემზე უკეთ იცით ეს სამწუხარო ისტორიის ფურცლები დაუცხრომელი ჩხუბებისა საქართველოს მეფეთა, ხან სათათრეთთან, ხან სპარსეთთან თავის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის. ამ ჩხუბების გამოისობით და ურთიერთ შორის ბრძოლის გამო, რომელთა მიზეზი ცხადია ყველასათვის, არ შეიძლებოდა თესვა და აღმოცენება ქრისტეს წმიდა სარწმუნოების თესლისა, ვინაიდგან იგი ითხოვს თავის აღმოსაცენებლად—გულთა მშვიდთა და არა მეომართა ყვირილსა და იარაღის ჩხარუნთა. მაგალითები ომიანობის ისტორიისა, რომ საუკუნოებითი ომიანობა ხალხთა ყოველგან მიზეზია სარწმუნოების დაცემისა და ზნეობითი დასუსტებისა. და ამისთვისა სწორეთ გასაკვირველია, როგორ გადარჩა და შეინახა ამდენი ომიანობის და მწუხარების შემდეგ წმიდა სარწმუნოება ძველს ივერიაში, არ შეირყა, არ დასუსტდა და არ მოისპო. მოვიგონებ რა ამ წმიდა ძველ დროს და ვისწავებ რა მათშინა, ვალდებულად ვსთვლი, ჩემი მწყემსებრივი გულისათვის ამ ძველ ტაძარში, რომელიც მოწამეა წარსული ომებისა და თვით ბრძოლისა, გამოუცხადო ქება ქართველ ხალხს იმისთვის, რომ მოციქულთა დროიდან მან შეინახა, დაიცვა უნაკლულად თესლი წმიდისა მართლ-მადიდებლობისა, დაიცვა სარწმუნოება მამა-პაპათა მთლად და წმიდათ საუკუნოებით გაგრძელებულ საშინელი ბრძოლისა დღემდის.

და მხოლო რუსეთის თვითმპყრობელ მეფეთა კვერთხსა ქვეშე მოეფინენ მათაზედა კავკასიონისათა მშვიდობა და სიწყნარე, გავრცელდა რა თან-და-თან იქ მობინადრე ტომთა შორის. ეს მშვიდობა გვავალებს ჩვენ თქვენთან ერთად, მწყემსნო და მწყემსთ-მთავარნო, განვაახლოთ ჩვენს ხსოვნაში ქართველთა განმანათლებელის წმიდა ნინოს ღვაწლი, მტკიცედ დავიმარხოთ იგი ჩვენს გულში, რომ ვბაძვიდეთ მას ქადაგებითი სიტყვითა და კეთილ-მსახურებითი ცხოვრებითა. ამა მშვიდობის განმტკიცებისათანავე კავკასიაში, რასაც ვგრე მტკიცედ იფარავს რუსის თვითმპყრობელი იმპერატორის ტახტი, მოციქულებრივი საქმე წმიდა ნინოსი ივერიის ეკ-

ლესიის მოწყობისათვის, მის ყრმათა განათლებისათვის უნდა გახდეს ჩვენ თქვენთან ერთად წილხლომოდ მოვალეობად. ამ ნაირად, დავიდვით მიზნად წმიდა საქმე ღვთისა, საქმე კაცთა განათლებისა და ცხოვრებისა ნათლითა ქრისტეს ქეშმარიტებისათა და ვიქმოდეთ მას მშვიდობასა და სიყვარულსა შინა, შიშითა და კრძალულებითა.

მაგრამ თქვენთან ერთად მოციქულებრივი შრომის ნაყოფიერობისა, ჩვენ მტკიცედ უნდა ჩავიბეჭდოთ გულში ის პირობანი, რომლის გარეშე ჩვენი შრომა არ გამოიღებს ნაყოფსა. უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტეს ეკლესიასა შინა, დიდდგან სულიწმიდის მოფენისა მოციქულებზე, არ არის განყოფილება ხალხთა და თემთა შორის, ვინაიდგან თქვენ ყველანი ხართ შვილნი ღვთისანი სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა, ყველამ თქვენ ქრისტეს მიერ ნათელ დებულთა, ქრისტე შეიმოსეთ. არ არის უკვე არც ურიაობა, არც წარმართობა, არა არს მონება, არც აზნაურება, თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოს მიერ (გალატ. 3 თ. 26—28 სტიქ.), ნუ დავივიწყებთ იმ არასაექვო ქეშმარიტებასაც, რომ დიდებული წმიდა მოციქულებრივი საქმე ითხოვს ჩვენგან, მწყემსთაგან, ერთსულოვნებას, ერთაზროვნებას, განხეთქილების და უსიამოვნების უარყოფას (1 კორინთ. 1 თ. 10 სტიქ.). წმიდა მოციქულმა სასტიკად განსაჯა პავლეს, აპოლოსის და კეფას პარტიბა (განყოფილება), რადგან არაოდეს და არსად ქრისტე არ განიყოფებოდა (12 სტიქ.). ამისათვის ქართველია რუსი, ბერძენი,—ყველა ძმები არიან, ყველანი ერთი არიან ქრისტეს მიერ (გალ. 3—28 მუხ.).

მოწოდებული ღვთის განგებულობით და ნებითა თვითმპყრობელისა სრულიად რუსეთისა, ხელმწიფე იმპერატორის მიერ, ივერიის ეკლესიის პირველ მწირველის კათედრაზე, რომელიც შეიღება ჩემი წინა მოადგილის სისხლითა, მთავარ-ეპისკოპოსს—მოწამისა, მე აღვიარებ ყველას თქვენ გასაგონად, რომ მზად ვარ ვიხმარო ყოველი ძალა ჩემი, გონება და შრომა, ივერიის ეკლესიის საკეთილოდ. ჩემთვის არ იქნება განრჩევა ხალხთა-შორის, რომელნიც ქრისტეს აღიარებენ. მოციქულთან ერთად გეტყვით თქვენ—ვიქმნები ყოველთათვის ყოველივე, რათა ყოველივე შევიძინო: ებრაელთათვის ვითარცა ებრაელი, რომ ებრაელი შე-

ვიძინო; უძღურთათვის, ვითარცა უძღური, რათა უძღური შევიძინო. თქვენ, მწყემსნო, ჩემო თანამომსახურენო, გთხოვთ და გვედრებით, ყური უგდოთ ერთგულად თავთა თვისთა და სამწყსოთა, რომელთა ზედა სულმან წმიდამან დაგადგინათ თქვენ მწყემსად ეკკლესიისა უფლისა და ღვთისა, თანამსახურ იყვენით ჩემთან სიტყვითა და საქმითა, დამეხმარეთ, განმამტკიცეთ მე ჩემს მზრუნველობაში სიკეთისა და ცხოვნებისათვის შეილთა ივერიის ეკკლესიისათა (კორ. 1 თ. 11 სტიქ.).

ვათავებ ჩემ სიტყვას თქვენდა მიმართ მოციქულებრივის მილოცვით: სრულ იყვენით სარწმუნოებასა შინა, ნუგეშის-ცემულ იყვენით სარწმუნოებითა, იყვენით ერთმოაზრენი, მშვიდობის-მყოფელნი და ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იყოს თქვენ ყოველთათანა (2 კორინ- 13 თ. 11 სტიქ.). ამინ.

სულიერი ბრძოლა

ძველად ბერძნებს ჰყავდათ შესანიშნავი ორატორი დემოსთენი. როდესაც ის ლაპარაკობდა მოედანზე, შეკრებილი ხალხის წინ, დიდის გულს-მოდგინებით და თითქმის სულ-განაბულნი ყურს უგდებდნენ მას მთელი საათობით. მისი ძლიერი და მკაფიო ხმა ხალხის განაპირა წყებებშიაც კარგად გაისმოდა. როგორც თითონ ლაპარაკი, ეგრეთვე მიხვრა-მოხვრა გარეგნული მშვენიერი ჰქონდა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე. მიუხედავად ამისა, პირველად რომ დემოსთენი ხალხში სალაპარაკოდ გამოვიდა, იმან დიდი სირცხვილი გამოსცადა: იმას უბძანეს გაჩუმებულიყო, დაცინვით და კიჟინით გააგდეს იმ ამალღებულ ადგილიდან, საიდანაც უნდა ელაპარაკანა. დემოსთენი წამოვიდა სახლში სირცხვილით გაწითლებული და თავ-დაღუნული. იმას დაეწია გზაზე ვიღაც უცნობი.

—საყვარლო ძმობილო, —უთხრა იმან; —შენ დღეს სასტიკად დაგცინეს, და დაგცინეს სამართლიანადაც. შენ ისე უმგზავსოდ ლაპარაკობდი, რომ იმაზე ცუდად აღარ შეიძლება. შენ სუსტი ხმა

გაქვს; შენი ხმა ათი-თხუთმეტი ნაბიჯის იქით არ ისმის; შენ ძალიან ხშირად ენა გებმის, ჩერდები, რომ ჰაერი ჩაყლაპო; შენ ენას ჩლინგობ, სიტყვებს სწორე ვერ გამოსთქვამ, და მასთან ერთად, მხრებს უდროვოდ იწევ. მაგრამ მაინც შენში ვხედავ ორატორის ნიქს. საჭიროა მხოლოდ შენ შეიმუშავო შენი ნიქი, და შენგან კარგი ორატორი გამოვა. ხამი კაცი გიჟ ცხენზე არ უნდა შეჯდეს, თორემ გადმოაგდებს. მაშ როგორ გინდოდა შენ უცებ შეგეკმაზა ათასეული ხალხი და იქით წაგეყვანა, საითაც შენ გინდოდა, როდესაც შენ თითონ მოუშაადებელი იყავ, არ იცოდი, როგორ გემოქმედნა ხალხზე! ჯერ შენ უნდა შეისწავლო საქმე, ივარჯიშო და მერე ისე მოჰკიდო საქმეს ხელი.

შეისმინა დემოსთენმა კეთილი რჩევა, გადასწყვიტა დაჟინებით ემუშავნა თავის თავზედ და თავის ნაკლულევანებანი მოესპო. რომ არაფერს არ დაეშალნა მისთვის, ის წავიდა უდაბურ ადგილს, ზღვის პირას, გამარტოებულ ქოხში; და რომ სულს არ წაედლია და დანიშნულ დროზე ადრე არ დაბრუნებულიყო ქალაქში, იმან სუფთათ მოიპარსა ნახევარი თავი. მარტობაში იმან დაიწყო ხმის ვარჯიშობა და განვითარება თავისი სუსტი გულისა. ამისთვის ის სცდილობდა სირბილით ასულიყო მთაზე და სულის ამოუთქმელად ეყვირნა. პირველად, რა თქმა უნდა, უძნელდებოდა, ცოტა ადგილს გარბოდა და მალ-მალე ისვენებდა; შემდეგ-კი, რაც მეტს ვარჯიშობდა, მით მომეტებულ გზას გარბოდა, და ბოლოს კიდევ შეიძლო ხმა-მადლა ყვირილით სულის ამოუღებლად ზედ მთის წვეგრზე არბენა.

რომ გაემტკიცებინა თავისი ხმა, ის ქარიშხალის დროს, როდესაც ზღვის გაშმაგებული ტალღები დიდის მრისხანე ხრიალით აწყდებოდნენ კლდეს, მაშინ ის გამოდიოდა ზღვის ნაპირს და სცდილობდა თავის ყვირილით დაეხმო ზღვის ხმაურობა. ზღვის მხტილი და ღრიალი ყურს უჭედავდა დემოსთენს, მაგრამ თან და თან მისი ხმაც ძლიერდებოდა, ასე რომ ბოლო დროს მას შეეძლო თავის ხმა გაესწორებინა მღელვარე ზღვის ღრიალთან.

ენა-ჩლინგობის წინააღმდეგ დემოსთენმა მოიგონა პატარა კენჭების ჩაწყობა ენის ძირში. ის ატრიალებდა ენას სხვა-და-სხვა ნაირათ მანამ სიტყვა სწორეთ არ გამოვიდოდა. ამნაირათ იმან ისწავლა სრულიად მკაფიოდ ლაპარაკი. დარჩა გასას-

წორებლად, რომ მხრების უშნო აწევ-დაწევა დაეტოვებინა. დემოსტენმა მოიგონა უბრალო ღონის-ძიება. იმან თავის დაბალ ქონის ჭერს მიაკრა ხანჯალი წვერით დაბლა, რომლის ქვეშაც დაღებოდა ხოლმე თავის მხარით; წარმოიდგენდა რომ იმის წინ ხალხია და ხმა მალლა დაიწყებდა ლაპარაკს; მანამ ახსოვდა, რომ მხრები არ უნდა აეწია, საქმე კარგათ მიდიოდა; მაგრამ როდესაც ლაპარაკით გატაცებულ მხარს აიწევდა, მაშინვე ეჩხლიტებოდა ხანჯლის წვერი. ერთხელ მოხდა ასე, ორჯელ, ათჯერ, ოცჯერ — და მერე მხრების აწევა სრულიათ დაივიწყა.

დემოსტენს მოპარსულ თავზე თმა ამოუფიდა. დაბრუნდა ის ქალაქში, წავიდა კრებაზე; ავიდა ამალღებულ ადგილზე და დაიწყო სიტყვა. ხალხმა, რომ მოიგონა პირველი მისი მარცხი, სიცილი დაიწყო; მაგრამ დემოსტენმა მალლის უფლებრივი ხმით შეაჩერა სიცილი. ხალხმა სული განაბა და ყური დაუგდო დემოსტენის მშვენიერ სიტყვას, რომელიც წყალივით ნარ-ნარათ მივიდოდა, სიტყვა ისე მოეწონა ხალხს, რომ დანანდა, როცა დემოსტენმა ლაპარაკი გაათავა. აი ამნაირათ დემოსტენი გახდა დიდი ორატორი, შემდეგ დიდი ხნის ცდა-ვარჯიშობისა, და ისწავლა ჯამაზად ჯამაზაკი.

ადამიანმა რომ ისწავლოს ჯამაზათ ცხრეგება, კარგი კაცი გახდეს, ამისთვის საჭიროა დემოსტენზე უფრო მომეტებული მუშაობა გასწიოს თავის თავის გასაუმჯობესებლად.

„უსჯულოებასა მიუდგა, და ცოდვითა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“, — ამბობს ფსალმუნთ-მგალობელი დავითი. ჩვენ ვიბადებით ბევრი ცუდი მიდრეკილებებით. მშობლები გადასცემენ შვილებს არა მარტო ხორციელ, არამედ სულიერ მზგავსებასაც. ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს ბევრი ბოროტი მიდრეკილებანი მემკვიდრეობით თავიანთ მამა-პაპათაგან; განამტკიცეს ეს მიდრეკილებანი და თავიანთ მხრითაც მიუმატეს; და ყველა ეს გადმოგვცეს ჩვენ. ზოგჯერ ჩვენ სულში კეთილი მარცვალიც ვარდება: ან სხარების კითხვა ამოძრავებს, ან საეკლესიო გალობა ღმობიერ გვეცოფს, ან კარგი წიგნის წაკითხვა დაგვიპყრობს, ან კეთილი მაგალითი მოგვეწონება, — მაგრამ ყველა ეს იხშობა სქლათ ამოსულ ბოროტობაში. ბევრი შრომაა საჭირო, მტკიცე ხასიათი, დიდი ბრძოლა ცუდ მიდრეკილ-

ებებთან, რომ კაცმა კეთილი ცხოვრება დაიწყოს და კეთილი საქმეები გააკეთოს. ერთი ძველი ბრძენი ამბობდა: „თუ ადამიანს მართლა ადამიანათ უნდა ყოფნა, და არა ცხოველად ადამიანის სახით, უნდა იმუშავოს თავის-თავის გასწორებაზე დიდი ხნის მუშაობით მეტყავეს სქლი და მაგარი ტყავიდან გამოჰყავს ნაზი და თხელი ტყავი, აგრეთვე ადამიანიც. თუ იმას უნდა გახდეს ნამდვილი კეთილი ადამიანი, უნდა დიდ-ხანს იმუშავოს თავის თავზე. როგორ იმუშავოს? პირველად საჭიროა ყურადღება მიექციოს თავის შინაგანის სულის განწყობილებას. ჩვენ ხშირათ ვიცით ქუჩები და მოედნები თვით შორეული ქალაქებისაც ჩვენი საკუთარი გული-კი არ ვიცით. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვცოდვილობთ, ვზრუნავთ, რაც ძალი და ღონე გვაქს ვცდილობთ კარგათ მოვაწყუთ ოჯახის საქმე, ან სამსახურისა, ან საზოგადოდ, რაიმე გარეგნული საქმეები, და მთელი რამდენიმე წლების განმავლობაში-კი არა ვფიქრდებით წესზეა თუ არა ჩვენი შინაური ცხოვრება. ჩვენი შინაური არსება ბევრ ჩვენთაგანისთვის წარმოადგენს სრულს სიბნელეს, და ჩვენ იქ, როგორც ხშირ ნისლში, არაფრის გარჩევა არ შეგვიძლიან. ჩვენ ცოტას გვევლის ჩვენი სინდისი-კი. სინდისი — ეს, სარკვეა, რომელშიაც სჩანს სულის ყოველივე წინწყალი გულისა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სარკვე, რაც უნდა დიდი და კარგი იყვეს, სიბნელეში ვერ გამოდგება. საჭიროა ჩვენი სულის სიბნელეში ჩაუშვათ სინათლე, ამ შემთხვევაში, — სინათლე ღვთის სიტყვისა. ღვთიურ სიმართლის სინათლეზედ ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენი გული ღვთის ტაძარს კი არ წარმოადგენს, როგორც უნდა იყვეს იგი მოციქულის სიტყვით: „თქვენ ტაძარნი ღვთისანი ხართ, და სული ღვთისა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“, — არამედ ავაზაკების ბუნავია, რაღაცა დაბურული ტყვა ყოველნაირი მხეცებით და ცხოველებით. იქ არის მელიას ეშმაკობა, სიმძაფრე სისხლის-მსმელი ვეფხვისა, პრანჭვა-გრება და ამპარტაუნობა ფარშავანგისა, აქ არის გაუმადრობა მგლისა, ჭუჭყიანობა ღორისა და სიხარმაკე კუსი. ერთი სიტყვით, აქ არის მთელი ბუდე მხეცების ტლანქ გრძობათა. ამათ დასამშვიდებლად; — ერთად-ერთი საშუალებაა, — მათი მოშინება, არ უნდა ვაძლიოთ მათ საზრდელი, არ უნდა გავლადდეთ,



არ უნდა წავაქეხოთ ჩვენი ცუდი გრძნობები. ცუდი გრძნობები და მიდრეკილებანი, როგორც ყოველივე სხვა რამე, ჩნდებიან არა უცებ, არამედ თან-და-თანობით: დიდი ცეცხლი ჩნდება პაწაწა ნაპერწკალიდან (მოსკოვი დაიწვა ორკაპეიკიან პატარა სანთლისაგან), დიდი-ვეგერთელა ხე იზრდება პატარა მარცვლისაგან. საჭიროა ჩაქრობა ცეცხლის ნაპერწკალისა, ფესვიანად საჭიროა ამოგდება ცუდი მარცვლისა.

დიდი ზღვის ნაპირებზე თავის დროზე ხდება ზღვის მოქცევა და უკუქცევა. მოქცევის დროს წყალი ამოდის ზევით და წაჰლექავს ხოლმე ნაპირის ახლო მახლო მიდამოებს რამდენიმე ვერსის მანძილზე. ვინც, ამ ზღვის მოქცევით დროს, მოხვდება ნაპირს, რა წამსაც შეამჩნევს წყლის ამოწვევას, მიიბის შორს, რაც ძალი და ღონე აქვს. ჩვენც აგრეთვე უნდა გავიქცეთ სხვა მხარეს, როდესაც შევნიშნავთ, რომ ესა თუ ის ცუდი გრძნობა მალღდება და ლამობს ჩვენს წალეკვას.

როდესაც წმ. მარიამ ეგვიპტელმა შეინანა თავისი ცუდი ყოფა-ქცევა, შეიგნო საშინელება თავისი გარყვნილი ცხოვრებისა, მაშინ ის გაიქცა უდაბნოში, შორს, ძალიან შორს მაცთურებათაგან, რომ არც სხვა მისუღიყო მასთან და არ შეეცდინა, და არც თითონ მოჰგონებოდა თავის ძველი ცხოვრება და არც ის დაბრუნებულიყო უკან. კიევის მოღვაწემ, წმ. იოანე მრავალ ტანჯულმა, როდესაც იგრძნო, რომ ის სუსტდება ბრძოლაში ცთომებთან, მაშინ უბრძანა ჩაეფლათ იგი მხრებამდის მიწაში, თითქოს დაება იგი ჯაქვითაო.

„ეხლა ველარსად წახვალ,—ეუბნებოდა იგი თავის თავს, გამარჯვებლი თავის გარყვნილ ნებაზედ.

წმიდა მაკარმა ეგვიპტელმა ნახა ხილვა. იმას დაესხმრა სული ბოროტებისა, მთლად დაფარული ი სხვა-და-სხვა მაცთურებით, როგორც მეთევზე ან მონადირე, სანადიროთ წასული:

- რათა ხარ ეგრე შენ?—ჰკითხა მოღვაწემ.
- მოსანადირებელია ხალხისა,—უპასუხა ბოროტმა სულმა. სხვა-და-სხვა კაცს სხვა-და-სხვა ნაირ მაცდურებას წინადაუდებ. ხალხი დაესხმის ხოლმე, და მე მივითრევი იმათ ჩემსკენ, როგორც მეთევზე ბადეში ჩავარდნილ თევზებს.
- მერე, ბევრი მოდის შენკენ?

—ხან ბევრია, ხან სულ არა. აი ეხლა მე მივდივარ ერთ ოჯახში. თავის-ნება ხალხია, არ მოდიან ჩემსკენ. მხოლოდ ერთია იქ, რომელიც სიხარულით თითონვე გამოიბის ჩემსკენ.

წმიდა მაკარიმ მოსძებნა ის კაცი და გააბრთხილა არ მოჰყოლოდა მაცთურებას, დაემორჩილებია თავის თავი, დაევიწყებინა იგი, აღარ ეფიქრნა მაცთურებაზედ.

აი ამნაირათ უნდა მოვიქცეთ ჩვენ.

გაწყენინა ვინმემ რამე, გული მოგდის, ბოროტება ენთება. თუ შენ იფიქრებ ამ წყენინებაზე უფრო და-უფრო მომეტებულად გაჯავრდები; ამაზე ფიქრი ისევე გაახურებს შენ გულს, როგორც ახალ-ახალი შეშები—ცეცხლს. უკეთესია ეცადე მოიგონო, თუ რაიმე კეთილი განწყობილება გქონდა შენ იმ კაცთან, რომელმაც გაწყენინა, ან შენ ხომ არა გიწყენებია-რა იმისთვის წინათ როდისმე? ასეთი ფიქრები ჩაანელებენ რისხვის სიმხურვალეს, ჩააქრობენ ბოროტების ცეცხლს.

წარმოვიდგინეთ, რომ მოგეცა მარჯვე შემთხვევა ბრუდე გზით ქონების შექენისა; —დაფიქრდი აბა, რა უფრო ძვირფასია: რამდენიმე მანეთი, სამსახურში, ამღლება, თუ წმინდა სინდისი, შინაგანი სიმშვიდე? „რა სარგებელი აქვს კაცსა, ამბობს მაცხოვარი, რომ იმან მთელი ქვეყანა შეიძინაოს, სული თვისი-კი დაიღუპოს?“

როდესაც ჩვენ არ მოგვწონს რაიმე ცუდი სუნი, მაშინ ცხვირზე ხელს ვიფარებთ; არ მოგვწონს ხმაურობა, ყურებში თითებს ვიცობთ; გვაშინებს რაიმე ხილვა, ჩვენ თვალებს ვხუჭავთ. ეგრეთვე უნდა მოვიქცეთ ჩვენ წინააღმდეგ ცუდი გრძნობებისა და მიდრეკილებებისა.

რა თქმა უნდა, ძნელია ეს, მაგრამ მაცხოვარი ამის წინათვე შეგვასწავლის, რომ სასუფეველი ღვთისა ძალით იღება, და რომელნიც ძალას ხმარობენ ისინი ითვისებენ მას. დემოსფენმა, წარმართმა, ბევრი თვეები იმუშავა თავის თავზე, რომ ესწავლნა კარგათ ღამაზაკი ნუ თუ ჩვენ ქრისტიანები—სე-უშინდებით მუშაობას, რომ შევეჩვიოთ ღვთისსაქრ ცხოვრებას! დროა ხელი მივყოთ მუშაობას; დროა გავიწმიდნეთ. ბევრი სულიერი ჭუჭყი გვაქვს მიღებული ჩვენი შაჰამავლობით. ბევრი შევიძინეთ თითონ ჩვენც. ხომ არ გვინდა ძველებურათ ისევე ტალახში ვიფლობოდეთ? არ შევჭერდებით როდისმე? არ გამოვიცვლით საკეთილოდ ცხოვრებას?

მღვდელი იოანე ლუკიანოვი.

უწყობო ლეღვის ხე.

გაგრძელება*)

ქრისტე მაცხოვარმა დასლო ქვეყნად დასაწყისი ღვთის სასუფეველისა, დააფუძნა გოდოლი, რომელსაც უნდა აღეყვანოს ხალხი ზეცად. თვითონ იგი დაედვა სათავედ კუთხეში უმთავრეს თავსაკიდურ ქვად, მისცა ხალხს ნამდვილი ცხოვრების სწავლა და თავისი მაგალითი აჩვენა, როგორ უნდა სრულდებოდეს ეს სწავლა. ხალხმა ეს გოდოლი უნდა დაასრულოს, თავისი ცხოვრება უნდა აიყვანოს მომეტებულ და მომეტებულ ღვთიურ სიმაღლეზე. რაც უფრო მომეტებული იქნება ხალხში ღვთის სიმართლე, რაც უფრო გაიწმიდება კაცის გული, რაც უფრო ძლიერი შეიქმნება ხმა ძმურის სიყვარულისა დედა-მიწაზე, — მით მომეტებულად ხალხი დაუახლოვდება ღმერთს, მით უფრო ჩქარა დადგება ჩვენში ღვთის სასუფეველი. აქედგან, როგორც თვითეული ადამიანის, ისე მთელი ხალხის, მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ გაადიდოს ქვეყნად სიბო სიყვარულისა, რაც შეიძლება მომეტებული სიკეთე დასთესოს, გამოააშკარაოს ხალხის წინაშე ქეშმარიტება სიტყვითაც და საქმითაც.

ცხოვრებაში, როგორც საქვეყნო დიდ შენობაზე, მუშაობა გაცხარებული მიდის, დაუცხრომელი, დღე და ღამე, წლითი-წლობით, საუკუნიდან საუკუნემდის. ერთი წყება ხალხისა მოდის გამოსაცვლეოდ მეორე წყებისა; ერთი ათავებენ თავის ვადას, მიდიან მოსასვენებლად, იმათ ადგილს სხვები იჭერენ. ხალხის ერთი თავობა იცვლება მეორეთი; ერთნი სცხოვრობენ, ბერდებიან, იხოცებიან; მეორენი იბადებიან, იზრდებიან და სწევენ იმათ მაგიერობას, რომელნიც საფლავს მიეცენ.

ბევრია გაკეთებული, თუ ცოტა, ჩვენს წინათ, ან ჩვენ შემდეგ რა იქნება, — ეს არ არის უმთავრესი კითხვა. ჩვენი გამოცანაა შევასრულოთ ჩვენი მუშაობა. ჩვენ მოვასწარით შენობას ამა თუ იმ სართულზე, მიყენებულნი ვართ კედლის ასაშენებლად რომელსამე მხარეზე, — ზოგი შუა ადგილს, ზოგი კუთხეთა ახლოს, ზოგმაც თითონ კუთხე უნდა გამოიყვანოს, — აი თვითეულმა

გაკეთა თავისი საქმე; რამდენათაც შეგწევს ძალა და ცოდნა, აამაღლე კედლები ქრისტეს გოდოლისა, მოჰმართე ღვთიური ცხოვრება ქვეყანაზე. ის ჯერ კიდევ არ არის კალატოზი, რომელმაც ფართუკი აიფარა გულზე და დადგა საკირე ორმოსთან; ის ჯერ კიდევ ნამდვილი მომუშავე არ არის, რომელსაც აგური, და თიხა გარს შემოაუწყვია. ნამდვილი მომუშავე ის არის, რომელიც დაუსვენებლივ მუშაობს და თან-დათან მალლა-მალლა მიჰყავს კედელი, მანამ მისი მაგიერი არ მოვა და არ გაუშვებენ მას მოსასვენებლად. აბა მაშ ვკითხვით ეხლა ჩვენ თავს: ჩვენ რა გვაკეთეთ ღვთის სასუფეველის დამყარებისათვის ქვეყნად? ავიყვანეთ თუ არა ახალი სართული, ანუ თუნდაც ერთი-ორიოდე ახალი წყება აგურებისა ქრისტეს გოდოლზე? შენობას გვგმა ხომ თვით საუკვეთესოა ნაჩვენები: სახარება ნათლად და დაწვრილებით გვეუბნება, როგორ უნდა მოვაწყოთ ცხოვრება, რომ იგი საუკუნო იყვეს. მასალა არის მოცემული აგრეთვე ჩინებული. შეხედეთ აბა ადამიანის გონებას! რასაც კი მოინდომებს კაცი, რას არ მისწვდება და არ გააკეთებს თავისი გონებით, რანაირი საუცხოვო მანქანები არ გამოიგონა მან? საქმე მხოლოდ იმაში, რაზე ხმარობს ადამიანი თავის გონებას? ზოგი იმას სცდილობს მთელი თავის ძალ-ღონით, როგორ უკეთესად მოაწყოს ათასი უბედური, ობლებს ბინა გაუჩინოს, მშვიდრები გამოჰკვებოს; ზოგია კი დღე და ღამე თავს იტვრევს იმაზე, თუ როგორ ბევრი ხალხი გაუშვას ქვეყნად. ორივეებს ერთნაირი მასალა აქვთ — დიდი გონება თავში, მაგრამ სხვა და სხვა საქმეებზე არის მიდრეკილი. ახლა გავსინჯოთ ადამიანის გული. რა ძალას აძლევს იგი კაცს, თუ-კი იგი მთელის გულით მოეკიდება რამეს! ეძებს ვმირი დიდებას, და კიდევაც მართლა დიდ საქმეებს სჩადის, სიკვდილისაც-კი არ ეშინიან და უკვნესოდ ითმენს სასტიკს ტანჯვებს. ძუნწს ძალიან უყვარს ფული, და იგი შიმშილით ირთმევს სულს, იგი სიკვდილზე უფრო დასთანახმდება, მინამ იტყვის უარს თავის ქონებაზე. დიდ ძალას აძლევს ადამიანს მისი გული. კითხვა მხოლოდ იმაშია, რა საქმეზეა კაცი უფრო მიდრეკილი, რაზე ახმარებს ძალას? გონება და გული — ესენი დიდი წყალობაა ღვთისა კაცის მიმართ, ძვირფასი მასალაა ასაშენებლად ღვთიური კეთილი ცხოვრებისა ქვეყნად. რაზე

*) იხილე „მწყემსი“ № 3

გხარჯავთ ჩვენ იმათ? რა მიმართულებას ვაძლევთ? ქვეყნის დიდმა პატრონმა, უფალმა, გამოგვიყვანა ჩვენ ცხოვრებაში? მოგვიწოდა ჩვენ სამუშაოდ, ყოველი ადამიანი დააყენა თავ-თავიანთ ადგილზე. რა გავაკეთებთ ჩვენ ექამდის? ჩვენ ხომ დიდი ხანია გამოსულნი ვართ სამუშაოდ? ბევრათ წავეწიეთ წინ ღვთის საქმე? ვაჩვენებთ ჩვენ ქვეყნის სხვა ხალხებს ძალა ქრისტეს სიყვარულისა, სიმშვენიერე და სიხარული ღვთიური ცხოვრებისა? ჩვენ ვამაყობთ ქვეშმარტივის მართლმადიდებლობითი სარწმუნოებით, მაშასადამე, მიგვაჩნია ჩვენი თავი ნამდვილ და ერთგულ მომუშავეებად ღვთისა. მაშ რა გავაკეთებთ ღვთის საქმეშილ?

როდესაც სახმილი ძალიან არის გახურებული, მაშინ იგი ყველა მხარეზე სიციხეს უშვებს, და ვინც უნდა მივიდეს, ყველას ათბობს. როდესაც კანდელში ბლომათაა ზეთი, და კარგად არის გაკეთებული პატრუქი, მაშინ იგი მთელ ღამეს იწვის და ანათებს სიბნელეში. ჩვენ ვათბობთ სიყვარულით ხალხსა? ვანათებთ ჩვენ ღვთის სიმაართლით ხალხის სიბნელეს? რაც უნდა კარგად იყვეს დახატული სურათზე ცეცხლი, მაინც იმისგან ვერც სიცივეში სითბო, ვერც სიბნელეში სინათლე ვერ გამოვა. თუ რომ ველურ უფიც კაცს გვინდა ვაჩვენოთ სასარგებლო მოქმედება ცეცხლისა, ამისთვის საჭიროა ავანთოთ ცეცხლი, და მაშინვე მიხედება ველური, რომ ცხოვრებაში ცეცხლი მართლა ფრიად საჭირო და კეთილის-მყოფელი ყოფილა. ესევე უნდა ითქვას მართლმადიდებლობითი სარწმუნოებაზე: მისი ძალა მდგომარეობს არა სიტყვებში, არა მოთხრობებში, არამედ მის თანახმად ცხოვრებაში. სიტყვები სარწმუნოებაზე — ეს ხის ფოთლებია; ჩვენი საქმეები-კი, ჩვენი გრძნობანი, ჩვენი გულის მოძრაობანი, — ეს ნაყოფებია. ვიკითხოთ აბა, ჩვენი საკუთარი ღელვის ხე, — ჩვენი ცხოვრება, — რითია დაფარული? მხოლოდ მარტო ფოთლებით, თუ ფოთლებ ქვეშ ნაყოფიც არის? არა განსჯა გვინდა ჩვენ ხალხისა; ყველასი ჩვენი მსაჯული ერთია — უფალი; არამედ გვინდა შეგვეკითხოთ, როგორც გზაზე მიმავალ თანამგზავრებს: „იქით მივდივართ. საითაც უნდა მივდიოდეთ? იმას ვაკეთებთ და ისე ვიქცევით, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, და როგორც უნდა ვიქცეოდეთ? ჩვენი გულის და გონების ცხოველ-მყოფელობა ნაყოფშია, თუ მხოლოდ მარტო ფოთლებშია?“

მღვდელი იოანე ლუკიანოვი.

სახარება მათისი.

თავი შექვესე
გაგრძელება¹⁾

გაგრძელება მთაზე წარმოთქმული ქადაგებისა. მტნებანი შესახებ ქველ-მოქმედებისა (1—4), ლაცვისა (5—15), მანხგასა (16—18); ჭეშმარიტი სიმიდრე.

შესახებ ქველ-მოქმედებისა (1—4). ქველ-მოქმედების დროს, ქვეშარტი მოწაფე ქრისტესი უნდა ერიდოს მედიდურობას, ზვაობას. კეთილი საქმე კაცმა უნდა მოიმოქმედოს არა სხვების დასანახავად, რადგანაც ამისთვის ზეციერი მამისაგან არ მოეღოს მას სასუფეველი. ქველ-მოქმედი არ უნდა ქადაგებდეს და არ უნდა ყვიროდეს თავის ქველ-მოქმედების შესახებ; ყვირილი ქველ-მოქმედების შესახებ არის ჩვეულება ორგულთა, რომელმაც იდიდებიან კაცდაგან. ნამდვილი ქველ-მოქმედი უნდა იყოს დაფარული ისე, რომ თვით მახლობლებმაც კი არა იცოდნენ რა ამაზე*). საიდუმლო და დაფარული ქველ-მოქმედების მხილველი არის ზეციერი მამა, რომელიც ქველ-მოქმედებას მიაგებს ცხადად. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მაცხოვარი ამ ბრძანებით სულაც არ გვიკრძალავს ქველ-მოქმედებას ცხადად, რადგანაც ზოგჯერ შეუძლებელია დაფარვა ქველ-მოქმედებისა და საჭიროა მისი გამოცხადება. წმ. მამათა განმარტებით, აღკრძალულია ქველ-მოქმედება მყვირალი, ქველ-მოქმედება, რომელსაც მიზნად აქვს დიდება კაცთაგან.

შესახებ ლაცვისა (5—15). მაცხოვარი ისევე ბრძანებს, როგორც შესახებ ქველ-მოქმედებისა. ქრისტეს მოწაფეთა ლოცვა არ უნდა ემსგავსებოდეს ორგულთა ლოცვას. ფარისევლები ხალხის დასანახავად გარეგნულად გულ-მოდგინ ბით ლოცულობდნენ შესაკრებელში და უზნებზე. ამ გვარი ლოცვა არ არის ღვთისად. მწაფე ქრისტესი სალოცავად უნდა შევიდეს დაფარულს ოთხში და იქ ილოცოს საიდუმლოდ. ყოველის-მხილველი მამა ზეციერი მამაგებს მას ცხადად. ამათ, რასაკვირველია, არ აღეკრძალება საზოგადო ლოცვა ეკლესიაში და სახლებში. აღკრძალულია ლოცვა მედიდური, ფარისევლური ხალხის დასანახავად.

¹⁾ იხილეთ „მწყემსი“ № 3
*) საღმრთო-წერილში სიტყვები «მარჯვენე და მარცხენე» ხშირად იხმარება მახლობელ ნათესავთა აღსანიშნად.

არ არის საჭირო მრავალ-მეტყველება ლოცვა-ში. მრავალ-მეტყველებად აქ იწოდება ცუდად მეტყველება, ე. ი. ამაოდ მეტყველება, როცა ღმერთსა ვთხოვთ რასამე შეუფერებელს და უკადრისს.

ლოცვის მაგალითიც მოგვცა მაცხოვარმა ქრისტიანებს. ეს ლოცვა მოკლეა, მაგრამ შეაფიქრებლად შეიცავს ყოველსავე, რაც კი საჭიროა კაცის სულისა და ხორცისათვის. ამ ლოცვას ეწოდება ლოცვა უფლისა, რადგანაც უფლისგან არის მიცემული.

შამაჩ ჩვენა, რამელი ხარ ცათა შინა. ღმერთი არის მამა ყველასი, როგორც მამები და დასაბამი ყოვლისავე არსისა, როგორც შემომქმედი ყოველთა: ღმერთი არის ყველგან. წმიდა იყავნ სახელი შენი. ღვთის სახელი არის წმიდა და უწმიდესი ყველა სახელებზე. ამ სიტყვებით ჩვენ ვეიდრებით ღმერთს, რომ წმიდა იყოს მისი სახელი ჩვენ შორის. ჩვენ ვუწოდებთ ჩვენს თავს ქრისტედ, ე. ი. ჩვენ მივითვისებთ ქრისტე ღმერთის სახელი. მაშასადამე, როდესაც ჩვენი ცხოვრება და ყოფა ქცევა არის კეთილი და წმიდა, მაშინ ქრისტეს სახელი იღიდება ჩვენ შორის; გარნა; უკეთუ ჩვენი ცხოვრება უწმიდურია, უკეთუ არ გვახსოვს, ვისი სახელი გვაქს და ცუდად ვიქცევით, მაშინ სახელი ღვთისა დამდაბლდება და შეიგინება“ (ეპისკ. გაბრიელი).

მოვედინ სუფევა შენი. ყოვლად სამღვდელო ამა სიტყვებზე შემდეგ განმარტებას იძლევა „რას ნიშნავს, ძმანო საყვარელნო, ეს სიტყვა: მოვედინ სუფევა შენი? ნუ თუ არ მოსულა ჯერედ სუფევა ღვთისა? სუფევა ღვთისა არის, ძმანო ჩვენო, ორ გვარი: ერთი ხილული, მეორე უხილავი. უხილავი სუფევა ღვთისა არის კაცის გულში და სულში; უხილავი სუფევა ღვთისა მდგომარეობს კაცის ჰაზრში, გრძნობაში, გულის თქმაში და ყოფა ქცევაში. სუფევა ღვთისა მოვა და იქნება ჩვენ შორის მაშინ, ოდესაც ჩვენ ესცხოვრობთ სიწმიდით და სიყვარულით; მაშასადამე, როდესაც ჩვენ ვამბობთ: მოვედინ სუფევა შენი, ამით ჩვენ გამოვითხოვთ ღვთისგან. რათა განმართოს და განაწესოს ცხოვრება ჩვენი ესრედ, რომელ ვინც შეხედოს ჩვენს კეთილს ცხოვრებას, სთქვას: სწორედ მათ შორის ღმერთი არის, სწორედ ღმერთი სუფევს მათს გულში! გარნა, ძმანი ჩემნი, რადგანაც

სიტყვით ამას გამოვითხოვთ ღვთისგან, საქმიოდა უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს შორის ღმერთი სუფევს. ღმერთი არის წმიდა. უბიწო, მართალი; შენც უნდა ეცადო დაემსგავსო მას სიწმიდითა და უბიწოებით. თუ, ძმაო, ყოველთვის გახსოვს შენი სჯული, თუ გახსოვს, რომ ღმერთი ყოველთვის გამოსცდის შენს გულსა, იგი ყოველთვის ხედავს შენს საქმეს, მას ყოველთვის ესმის შენი სიტყვა და შენ გეშინის, რომ არ აწყნო ღმერთს არცა საქმით, არცა სიტყვით, მაშინ შენ ეწევი, აშენებ და ავრცელებ სუფევასა ღვთისასა. ხოლო, როდესაც შენ ცუდად იქცევი და ცუდს მაგალითს აჩვენებ შენთა ძმათა, მაშინ შენ არღვევ სუფევასა ღვთისასა ქვეყანაზედ“.

იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთა ქვეყანასა ზედა. „ამ სიტყვებით ჩვენ ვეიდრებით ღმერთსა, ვითარცა, როგორც ანგელოზნი ცათა შინა ყოველთვის აღასრულებენ ნებასა ღვთისასა, ეგრეთვე ჩვენ ქვეყანასა ზედა ვიყვნეთ აღმასრულებელნი მისისა ნებისა. რა არის ნება ღვთისა! ნება ღვთისა ჩვენზედა ის არის, რათა ჩვენ ამ ქვეყანაზე ვიყვნეთ კეთილნი აღმასრულებელნი მისისა სჯულისა და მისთა მკნებათი და მომავალსა შინა საუკუნესა მივიღოთ მისგან დაუსრულებელი ნეტარება. საიღვან შეიტყობს კაცი ნებასა ღვთისასა? ღვთის ნებას შეგატყობინებს შენ, ძმაო, პირველად შენი ქცევა და შენი სინდისი: როდესაც შენ რომელსამე კარგს საქმეს იქმ, მაშინ კმაყოფილი ხარ და გიხარის, როდესაც ცუდი რამე საქმე შეგემთხვევა, მაშინ გწყინს და გეშინის; ეს შენი სინდისისაგან არის; მითი შენი სინდისი გასწავლის, რათა მოერიდო ცოდვასა და ყოველი კეთილი საქმე აღასრულო“ (ეპისკ. გაბრიელი). ღვთის ნებას ვგებულობთ ჩვენ, აგრეთვე საღმრთო წერილიდან.

ბური ჩვენი ახსობასა მომეც ჩვენ დღეს. პური, ანუ ყოველივე. რაც საჭიროა კაცის ხორციელი მხარის საზრდოებისათვის. მაგრამ, რადგანაც კაცის სულისთვისაც არის საჭირო საზრდო, ამიტომ სულიერ პურათ იგულისხმება სიტყვა ღვთისა. და მამიტევე ჩვენ თანამდებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა. თანამდები არის ყოველივე ბრალი და ცოდვა ჩვენ წინაშე ღვთისა და მის წმიდა სჯულისა. აქ ჩვენ ვთხოვთ



ღმერთს ცოდვათა მოტევებას; მაგრამ ღმერთი ამ პირობით მოგვიტევებს ჩვენ ცოდვებს თუ ჩვენც მიუტევებთ თანამდებოთ მათ ჩვენდა. ეს არის უპირველესი პირობა ჩვენ ცოდვათა მოტევებისა ღვთისაგან.

და ხუ შემიუვანებ ჩვენ განსაცდელსა, ანამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან. განსაცდელი ეწოდება ისეთს შემთხვევას, რომელიც შთააგდებს კაცს რომელსამე ცოდვაში... ამას სიტყვებით ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, რომ განაშოროს ჩვენგან ყოველივე ცუდი შემთხვევა და არ ჩავვაგდოს რომელსამე ცოდვაში“ (ეპისტ. გაბრიელი). ბოლოს ვთხოვთ ღმერთსა გვიხსნას ბოროტი კაცისაგან, ეშმაკისაგან. ღმერთს შვენის სუფევა მთელს ქვეყანაზე, ძალი შეღმსრულებელად იმისა, რასაც ჩვენ ვთხოვთ და დიჯება უკუნისამდე. ამინ — ებრაული სიტყვაა, ქართულად ნიშნავს — იყვენე, ქეშმარიტად, ნამდვილია. ამინს წარმოსთქვამდნენ ხოლმე ებრაელები შესაკრებელში ლოცვის შემდეგ.

სამაგალითო ლოცვის დასასრულს მაცხოვარი კვლად ბრძანებს ცოდვათა მიტევებას. ყველა კაცი ცოდვილნი არიან ღვთისა და ერთმანეთის წინაშე. მშვიდობა, მყუდროება და სიყვარული მათში შეიძლება მხოლოდ ცოდვათა მიტევებით ურთიერთს, რის შემდეგაც ღმერთიც მოგვიტევებს ცოდვებს.

შესახებ მარხვისა (16—18). ურიებს მოსე წინასწარმეტყველისაგან ჰქონდათ დადგენილი მარხვა; მოსემ შემდეგაც სხვა-და სხვა გარემოებათა გამო დააწესა სხვა მარხვებიც; ფარისევლები, როგორც სახარებიდან სჩანს, მარხულობდნენ კვირაში ორჯერ (ლუკ 18, 12). მაცხოვარი არ უარყოფს მარხვას. არ იწუნეს, მხოლოდ უბრძანებს მოკიქულებს და მოწაფეებს, რომ მათი მარხულობა არ ყოფილიყო გარეგნული, მხოლოდ ხალხის დასანახვებლად, როგორც სწადიოდნენ ფარისევლები, რომელებიც სცდილობდნენ ხალხს მოსჩვენებოდნენ მარხულებად, ნამდვილად კი ბოროტებათ იყვნენ სავსენნი.

ქეშმარიტი სიმდიდრე (19—33). მაცხოვრის ბრძანებით, მისმა მოწაფეებმა არ უნდა მიაქციონ უმთავრესი თავისი ყურადღება ქვეყნიურ საუნჯეთა შეკრებას, რადგანაც ქვეყნიური საუნჯე არ არის მტკიცე. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექ-

ცეს იმ საუნჯის შეძენას, რომელიც ეკუთნის სასუფეველს ცათსა, რადგანაც ამ საუნჯეს ვერავინ ვერ წაართმევს და ვერავინ ვერ წაუხდენს კაცს. ქრისტეს მოწაფემ უნდა შეიძინოს სათნოება, რომელიც დაუახლოვებს მას ზეცას გული კაცისა, გულიც იქ იქნება.


მაცხოვარი ცხადი მაგალითით ხსნის ზემო გამოთქმულს აზრს, შესახებ საუნჯეთა შეკრებისა ცათა შინა. თვალი არის სანთელი გვამისა. თუ თვალი საღია და სუფთა, ის ხედავს მთელს სხეულს და ყველა საგნებს ნათლად. თუ თვალი ავადმყოფია, ის ცუდად ხედავს და ვერ არჩევს საგნებს. აქედან, საღი თვალის მქონე კარგად და ნათლად არჩევს საგნებს, ავადმყოფი და ბოროტი თვალის მქონე ვერ შესძლებს გაარჩიოს ღირსება საგნებისა. ესევე უნდა ითქვას სულის და სულიერ საგანთა შესახებ. სულის სანთელი არის გონება. თუ გონება ნათელი და სპეტაკია ის ანათლებს სული ყველა ძალებს, ხოლო დაბნელებული გონება უწესო მიმართულებას აძლევს სულიერს მოქმედებას და ამ მდგომარეობაში კაცს არ შეუძლიან ცხადად გაარჩიოს საგნები, აირჩიოს მათში გამოსაღები.

მეორე მაგალითი მოჰყავს მაცხოვარს განსამარტებლად იმისა, რომ ზეციურ საუნჯეთა შეძენასათან ვერ თანხმდება ქვეყნიურ საუნჯეთა სიყვარული. შეუძლებელია, რომ კაცი ემსახუროს ორს უფალს. მსახურმა ან ერთი უნდა შეიძულოს და მეორე შეიყვაროს. ამ ორ სხვა-და-სხვა თვისების უფლებად იგულისხმება ღმერთი და მამონა*) ვერ ხელუშწიებებს ღვთისა ეცნებად და მამონას; ქვეყნიურ საუნჯეთა მოპოვების სურვილი ვერ თავსდება ღვთის მსახურებასთან. მაგრამ სიმდიდრე, როგორც წყალობა ღვთისა, თუ კეთილად იქმნა მოხმარებული, არ უშლის ღვთის თაყვანის ცემას. მაგალითები აბრაამი, იობი.

რადგანაც ნამეტანი ზრუნვა ქვეყნიურ საუნჯეთა შესაძენად კაცს აშორებს ღვთისაგან, ამიტომ მაცხოვარი ბრძანებს, რომ იმისი მოწაფეები

*) მამონა იყო სირიელი ღმერთი, რომელებიც ითვლებოდა სიმდიდრის მფარველად. არა სჩანს, რომ ურიებს ოდესმე თაყვანი ეცათ ამ ღმერთისთვის; მაგრამ ალბათ ისინი ამ ღმერთის სახელს ხმარობდნენ საზოგადოდ სიმდიდრის აღსანიშნავად.

1905



არ უნდა ზრუნავდნენ სასმელ საკმელისა და სა-
მოსელისთვის. მაცხოვარი გვიჩვენებს ცის მფრინ-
ველებს და მინდვრის ყვავილებს, რომელებიც არც
სთესვენ, არც მკიან, არც რთავენ, მაგრამ მამა
ზეციერი ასაზრდოვებს და ჰმოსავს მათ. თუ ღმერ-
თი ზრუნავს ფრინველებზე და ყვავილებზე, რავ-
დენად უმეტესად იზრუნებს კაცზე, რომელიც ბე-
ვრად მეტია ფრინველებზე და ყვავილზე. ამითი
მაცხოვარი ჩვენ სრულიად არ გვიკრძალავს ზრუნ-
ვას ხორცისთვის; ხორციელი ზრუნვა არ უნდა
იყოს გადამეტებული სულიერზე. უპირველესად
ყოვლისა ქრისტეს მოწაფეებმა უნდა ეძიონ სასუ-
ფეველი წათა და სიმაჲთეჲ მისა—კეთილი ქრისტი-
ანული ცხოვრება, აღსრულება ქრისტეს მცნებათა
მაშინ ყოველივე ქვეყნიური სიკეთე ადვილად შე-
ეძინება კაცს.

ს. ზ.

თავად-აზნაურთა კრება მუთაისში.

27 თებერვალი.

ვერ იქმნა და ვერ მიჩვიენ რუსული ლაპა-
რაკის მოტრფიალეთ ქართველები იმ აზრს, რომ
კრებაზე, სადაც რუსულის არ მცოდნენი სჭარბო-
ბენ, რუსული ლაპარაკი შეუძლებელია ბრალიანი
და უბრალო მცოდნე და არ მცოდნეც-კი რუსუ-
ლად ორატორობს თითქო ქართულად შეუძლებელი
იყოს აზრის გამოთქმა. თავად-აზნაურთა კრებებზე
ამ გვარ კაცების საქციელმა იმდენად გააბოროტა
ზოგიერთი, რომ რამდენიმე კაცმა განუცხადა
რუსულის მოტრფიალეთ თუ კვლავ დაიწყებთ ასე
ლაპარაკს, გიკვილებთო.

საქმიანობის მხრით 27 თებერვალის კრება იმ
ნაირვე უფერული იყო როგორც სხვა კრებები.
კვლავ აღიძრა ლაპარაკი იმ კომისიის შესახებ,
რომელმაც თვალ ყური უნდა ადევნოს როგორც
შენობის აგებას ისი ფულის ხარჯვას. კრებამ მცირე
კამათის შემდეგ გადასწყვიტა დასტოვოს არსებულ
საამაშენებლო კომისიის წევრები ბეჟ, დ. წერეთ-
ელი და კირილე ლორთქიფანიძე. ამათ გარდა

არჩეულ იქნენ: თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, მ. ე-
ლარახველიძე, გ. ლ. ქორქაშვილი, ა. ს. საყვარე-
ლიძე, კ. დ. ბაქრაძე და ვ. მ. ვოცირიძე.

რა-კი კომისიის წევრთა არჩევა დამთავრდა,
შეუდგნენ იმ საკითხების კენჭის ყრას, რომელიც
ერთ ხმად არ არის მიღებული. დახურულის კენჭის
ყრით უარ-ყოფილ იქნა დებუტატთა საკრებულოს
წინადადება, რომ ქალთა მთავრობის გიმანაზიას
ასაშენებლად მიეცეს 500 მანეთი (91 ხმით წინააღ-
მდეგ 101 ხმისა). მიღებულ იქნა ხმის უმეტესობა-
ით: ა) დებუტატთა საკრებულოს მიერ წარმოდგე-
ნილი ხარჯთ-აღრიცხვა (163 ხმით წინააღმდეგ
28 ხმისა) იმ განსხვავებით, რომ ხარჯთ-აღრიცხვას
(9184 მან.) მიემატა 200 მანეთი. ბ) დებუტატთა
საკრებულოს წინადადება. რომ გიმნაზიის შენობის
ვალი, 132 ათასი მანეთი, დაიფაროს თავად-აზნა-
ურთა იმ თანხიდან, რომელიც საადგილ მამულო
ბანკშია ძირითად თანხის სახით. გ) დებუტატთა
საკრებულოს წინადადება, რომ ქართულ გიმნაზიის
შენობა გადავირავდეს ბანკში იმ ანგარიშით, რომ
ვალი არ აღმატებოდეს 200 ათას მანეთს.

ვიდრე კენჭის ყრას შეუდგებოდნენ, გუბ-
ერნიის წინამძღოლმა თავჯდომარეობა გადასცა
თავის მოადგილეს თ-დ. ნიჟარაძეს, რომელმაც
კენჭის ყრის გათავების შემდეგ განაცხადა, პრო-
გრამაში მოთავსებული საკითხები დამთავრებულია
და მეორე დღისათვის მოიწოდა კრება, რომელიც
არჩევნებს უნდა შეუდგესო. ასეთმა განცხადებამ
პროტესტი გამოიწვია, რადგან ყველამ იცოდა,
რომ კრების მიერ არჩეული გამომძიებელ კომისიის
მოხსენება ჯერ განხილული არ იყო. განსაკუთრე-
ბით ცხარობდა ბ-ნი ვ. აღშიბაია, მაგრამ კრების
დახურვის შემდეგ ვინ რას გააწყობდა?!

დაიშალა უკმაყოფილო კრება. ბევრი სამარ-
თლიან ბრალსა სდებდა თ-დ ნიჟარაძეს და იმის
მომხრეებს, რომ მათ სწადიანთ საქმის გადაფუჩეჩება.
როგორც მერე გამოირკვა, თვით თავ. დ. ნიჟარა-
ძეც მიმხვთარიყო, რომ გამომძიებელ კომისიის
მოხსენების გადაფუჩეჩება მასვე აუნებდა და ამიტომ
წერილი მიეწერა კომისიის წევრისათვის თავ. ს.
მიქელაძისათვის, ხვალ, ე. ი. 28 თებერვალს, აუწყ-
ეთ კრებას თქვენი გამომძიების შედეგო.

28 თებერვლის კრება დაიწყო ოქმის შესწო-
რებით. იქ ნათქვამი იყო, რომ გადაწყვეტილია

ზედმეტ სესხის აღების უფლება გიმნაზიის შენობა-ზეო ასეთი რედაქცია კრების თანხმობით შეაწო-რეს: სესხის აღება უნდა მოხდეს იმ კომისიის თანხმობით, რომელიც წინა დღეს იქმნა არჩეული. დებუტატთა საკრებულოს დასახმარებლად და იმ შემთხვევაში, თუ სესხის აღებას ეს კომისია დაინა-ხავს.

ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა თავ. იასონ გელოვანმა. თავ. გელოვანმა დაუაგებულო და კარგი ქართული ლაპარაკი იცის. მე ჩემდა თავად დიდის სიამოვნებით ვისმენ ხოლმე იმის სიტყვას, მაგრამ, გულ-ახდილად უნდა ვსთქვა, 28 თებერვლის იმის ნალაპარაკებიდან ვერა გავიგე-რა ილაპარაკა გარდაცვალებულ თავ. ნ. მინკრელსკიზე, იმის ქველობაზე და იმ კავშირზე, რომელიც არსებობდენ საზოგადოებასა და მას შორის. ამ თავადის მემკვიდრის გადაგვარებაზე, ქართველებისაგან დაშორებაზე და იმითი დაამთავრა, რომ მინკრელსკის მამულზე დარჩენილი გადასახადი უნდა ავიღოთო. ვერც ის გავიგე, რა აზრით ითხოვდა, რომ საადგილ-მამულო ბანკს გადახდომოდა იმ ფულის სარგებელი, რომელსაც ეწოდება ძირითადი თანხა და რომელიც თავდა-აზნაურობას ეკუთვნის. ნუ თუ თავ. გელოვანა ჰგონია, რომ ბანკი შიოს მარანია? მესამე წინადადება თავ. გელოვანისა, რომ სამეგრელოს თავად აზნაურთა მიერ ხაზინაში შეტანილ ფულის განაწილები დასავლეთ საქართველოს თავდა-აზნაურობას დაუბრუნდესო, ადვილი გასაგებია, თუ ხსოვნა არა გვალაატობს, ამ ფულის დაბრუნებაზე 2 თუ 3 წლის წინად აღიძრა შუამდგომლობა.

დამთავრდა ყველა საქმე. სიტყვა მიეცა გამომძიებელ კომისიის წევრს თავ. სოლ. მიქელაძეს, რომელმაც განაცხადა: კომისიამ საქმე გაიკნო; 24 და 25 ნოემბრის ოქმებში მოთავსებულმა საბუთებმა და მარშლებმა და დებუტატების გამოკითხვამ საკმაო ნათელი მოჰფინა აღშობაია ნიჭარაძის ინციდენტმა, თუმცა უმჯობესი იქნება, საქმე გადაიღოს, რომ იგი სავსებით გამოვკვლიოთო.

ასეთმა ორკოფულმა განცხადებამ ფრთები შეასხა კრების ერთ ნაწილს, რომელიც დაჟინებით იძახდა: გადავლოთ, გადავლოთო.

კიტა აზაშიძე. ამ საკითხის გამოკვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლე. ის, რაც ჩვენ

მოვისმინეთ რი მასრის წარმომადგენლისაგან, აშკარად ამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ არჩეული კაცები აღარ ერიდებიან, ლანდი თვით-მმართველობისა, რომელიც თავდა-აზნაურობას აქვს მინიჭებული, გადალახონ და ჩვენი უფლება სხვის ფეხის სათელად გაჭხადონ. გამოირკვა, რაც დებუტატთა საკრებულოში ხდებოდა, გუბერნატორს შეატყობინეს ზუგდიდისა და ქუთაისის მარშლებმა, როცა საქიროება ამას არ მოითხოვდა. ამნაირივე საქმე მოხდა შარშან, როცა 25 კაცის ნალაპარაკევი ჩვენ საქირობორტო საქმეებზე ჩვენს კანონიერ უფლებებზე, ჩვენმავე წარმომადგენლებმა, ან თვით კრების რომელმაც ვწევრმა გუბერნატორს აცნობეს, რამაც გამოიწვია ყველასათვის ცნობილი ზომები... (თავჯდომარე ზარს რეკავს). ამნაირი მოქმედება ჩვენი წარმომადგენლისა, გინდა საზოგადოების წევრთა, ჩვენა უფლების დამცირება და აბუჩად აგდებაა. ასეთ კაცებს ჩვენი წარმომადგენლის სახელს ვერ ვუწოდებთ, და ამიტომ უნდა გავიგოთ, ვინ გადალახა ჩვენი უფლება, ვინ დასწამა ცილი ჩვენს ხალხს...

თავ. დ. თ. ნიჭარაძე. გუშინ, ჩემის თავჯდომარეობით შეუძლებელი იყო ამ საკითხის განხილვა. კრების გათავებისათნავე მივმართე თავ. ს. მიქელაძეს და ვთხოვე, კომისიას თავისი მოხსენება სადღეისოდ ეცნობებინა კრებისათვის. საქმე, რომელმაც ამდენი ალიაქოთი გამოიწვია, გუბერნიის წინამძღოლი არ უნდოდა კრებას მოხსენებოდა. იგი მოხსენდა კრებას ჩემის თხოვნით, მაგრამ მე წარმოდგენილი არა მქონდა, რომ ჩემი მოწინააღმდეგენი პარტულ იარაღად გაიხდიდნენ ჩემსა და აღშობაიას შორის მომხდარ ინციდენტს და ცილს დამწამებდნენ, ვითომ მე ხალხის უფლებას ვამცირებდე, აირჩიეთ, ბატონებო, კომისია და მე საბუთებით დაგიმტკიცებთ, რომ ჩემს მოღვაწეობაში მარტო ერთი აზრი მამოქმედებდა: არა თუ არსებული უფლება შემეღახა, არამედ იგი გამეფართოვებინა. თუ კომისიას არ აირჩიეთ, პრესის საშუალებით დავამტკიცებ, რომ ხალხის კეთილდღეობით ვხელმძღვანელობდი ჩემს მოღვაწეობაში.

დავით კლდიაშვილი. ბატონებო, თავ. ს. მიქელაძემ სთქვა, რომ საკმაო მასალა შეგკრიბეთ და საქმე გამოარკვეულიაო, ჩვენ მოვალენი ვართ მოვისმინოთ კომისიის მოხსენება.

ამ სიტყვების შემდეგ თავ. ს. მიქელაძემ ითხოვა კრების მკირე ხნით შეწყვეტა: კომისიის სხვა წევრებს მოველაპარაკები და მერე გაგაცნობთ მოხსენებასაო.

კრება შესწყდა. განახლების შემდეგ თავ. მიქელაძემ კომისიის სახელით აუწყა კრებას, რომ საქმე საესებით გამორკვეულად არ მიგვაჩნია, ხოლო მისი ნაწილ-ნაწილ განხილვა უხერხულიაო.

ამრიგად, საქმე გადაფუჩქნდა, როგორც აკაკიმა ბრძანა.

ამით გათავდა ეს კეკე-მალულობა და შეუდგენენ არჩევნებს. პირველად კრების წევრნი მაზრებად დაიყვნენ და ყუთები დაუდგეს მაზრის წინამძღოლებს, მათ კანდიდატებს და თანაშემწეებს. ამ წერილს რომ ვწერ გამორკვეული არ არის დაწვრილებითი ცნობები არჩევნების შესახებ, ვიცით მხოლოდ, რომ ყოფილი წინამძღოლები მაზრებისა დიდის ხმის უმეტესობით იქმნენ არჩეულნი: ქუთაისის მაზრაში—თ. დი. ო. ნიჟარაძე, რაჭისაში—ექიმი დავით ჯაფარიძე, სენაკისაში—თავ. ნ. ნ. დადიანი, შოროპანისაში—თავ. ა. წერეთელი, ოზურგეთისაში—თავ. ვ. დ. ერისთავი, ლეჩხუმისაში—თავ. იასონ გელოვანი რაც შეეხება ზუგდიდის მაზრას, რომლის ძველი წინამძღოლიც არჩევნებამდის გადადგა სამსახურიდან, იქ კანდიდატებად აირჩიეს ერთხმად თავ. ი. ვ. აფაქიძე და თავ. გ. კ. დადიანი და 10 ხმით წინააღმდეგ 4 ხმისა დ. რ. ჟვანია.

გუბერნიის თავ. აზნაურთა წინამძღოლის და საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა არჩევნები გადაიდო მეორე დღისთვის.

ერთმა შორაპნელმა ამომრჩეველმა დღეს შემდაგი იოხუნჯა: შორაპნის მაზრის ცენზიანმა აზნაურებმა ბანკის რწმუნებულთა კანდიდატების სია შეადგინეს და 20 კანდიდატში 18 წერეთელია და ორი „ინოროდეცია“. რამდენად მართალია ეს ოხუნჯობა, არ ვიცი. ეს-კია, რომ შორაპნის მაზრაში ცენზიან თავ-აზნაურებში წერეთლები სკარბობენ

(„დროება“)

ახალი ამბები და შენიშვნები

* * უფრდრფი. წ.-კ. საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს პატივი სცეს ქართველთა მეგობარსა და ქართველ მწერლების მცოდნესა და გამავრცელებელს აწ განსვენებულ მარჯორი უორდროპს. გამგეობამ დაადგინა, გამგეობის დაბაზში ჩამოჰკიდოს განსვენებულ უორდროპის სურათი.

* * კავკავის ოლქის სასამართლომ არდონის სამისიონერო სემინარიის ყალბი მოწმობების შედგენისათვის გადაუწყვიტა: ექვსს ტუსალთა განყოფილება თითო წლით, სამს—რვა-რვა თვით საპრობილე. დამნაშავეთა შორის არიან: სტუდენტი, აფიცერი ორი მასწავლებელი და ერთი მედავითნე.

* * სამთა-სატენიკო სასწავლებელი. თებერლის პირველ ნახევარში ქიათურაში შავი-ქვის მრეწველთა კრების საქმე მოახდინა რამდენიმე სხდომა. ამავე დროს, საბჭოს წინადადებით, განსაკუთრებულმა კომისიამ ინჟინერ ცეიტლინის მონაწილეობით შეიმუშავა პროექტი სამთა-სატენიკო სასწავლებელის გასახსნელად. მრეწველთა ერთ-ერთ წარსულ კრების დადგენილება ამის შესახებ უკვე არსებობს. სასწავლებლის ტიპი ჯერ საესებით არ არის გამორკვეული, მაგრამ, როგორც ვიცით, ის უნდა იყოს ორი წლის კურსით, სადაც შევლენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი, ამ გვარ სპეციალურ სასწავლებელის გახსნა ქიათურაში ძალიან საჭიროა და მისი დაარსებაც სამთა-მადნო ცოდნით აღჭურვილ პირთა საჭიროებით არის გამოწვეული, ამიტომ მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. ამ სასწავლებლის გახსნა განზრახულია ამავე წლის შემოდგომაზე.

* * „კასპ“-ს პეტერურგბიდან დეპეშით ატყობინებენ: „სინოდმა განიხილა არქიმანდრიტ ამბროსის საქმე. ბრალდებოდა ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. სინოდმა სრულიად გააძარტლა არქიმანდრიტი ამბროსი და დაადგინა, მიეცეს ორი წლის ჯამაგირი. გამოძიებამ სწორედ ორი წელიწადი გასტანა. ამას გარდა სინოდმა არქიმანდრიტი ამბროსი, ნოვეგოროდის ეპარქიის ერთ-ერთ მონასტრის წინამძღვრად დანიშნა“.



* * კრადონაჩალიკი და ექიმი. ამას წინად ბაქოში, სადგურის მახლობლად, ბაბაევის სახლში რალაც აფეთქებულა. სახლს ცეცხლი გასჩენია და მძიმედ დაშავებულა ფერშალის ტელიჩენკოს ოთხი შვილი. ცეცხლზე, სხვათა შორის, მისულა ბაქოს გრადონაჩალიკი მარტინოვი. გრადონაჩალიკს კაცი გაუგზავნია ექიმ ლისისთვის, რაც შეიძლება ჩქარა მოდიოთ და დაშავებულებს დახმარება აღმოუჩინეთო. კაცისთვის უთქვამთ, ექიმი სხვაგან წავიდავო მაშინ ლისისთან თვით გრადონაჩალიკი წასულა და თან „კასპი“-სა და „ბაკუ“-ს თანამშრომლები წაუყვანია. როდესაც გრადონაჩალიკი მისულა, აივანზე გამოსულა ლისის ცოლი და უთქვამს, ჩემი ქმარი სახლშიდ არ არისო. მარტინოვს რამდენჯერმე მოუთხოვნია კარის გაღება, მაგრამ ცოლს უარი უთქვამს. მაშინ ძალად შეიჭრა და საწოლ ოთხში უნახავს ექიმი.

—ექიმო, წინადადებას გაძვლევთ დაუყონებლივ ჩაიცვათ და გამომყვით.

—ავად ვარ და კარში გასვლა არ შემიძლიან,—განუცხადებია ექიმს.

—საქმეს იქამდის მიიყვანთ, რომ ექიმებს დავიბარებ და შეგამოწმებინებთ, მართლა ავადა ხართ თუ სტყუითო.

—მე რკინის გზის ექიმი ვარ და თქვენ უფლებია არა გაქვთ, რკინის გზის გარეშე წამიყვანოთ სადმე. თუ ჟანდარმთა განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი არამაგტიფი ნებას არ დამრთავს, ისე წამოსვლა არ შემიძლიან.

გრადონაჩალიკი ტელეფონით შეჰკითხებია ჟანდარმთა განყოფილებაში და იქიდან უთქვამთ, რომ ექიმს შეუძლიან წამოსვლა. მაგრამ ექიმი ამის შემდეგაც უარზე დამდგარა. მაშინ გრადონაჩალიკს უბნის ზედამხედველისთვის უბრძანებია, რომ ძალით წაეყვანა ექიმი. რაკი ექიმს დაუნახავს, რომ აღარ ეხუმრებოდნენ, ჩაუცვამს და გაჰყოლია უბნის ზედამხედველს. გრადონაჩალიკს უბნის ზედამხედველისათვის უბრძანებია, ექიმი დანიშნულ ადგილზე მიიყვანე და დახმარების აღმოჩენის შემდეგ გაუშვივო. ექიმი იმ დროს მისულა, როცა დაშავებულები საავამთავროში უკვე წაყვანათ.

(„დროება“)

* * მძებარა ძაღლები. † მარტს, ვერაზე, ქალაქს გარედ პოლიციამ გამოსცადა საპოლიციო ძაღლები. პეტერბურგიდან ტფილისის პოლიციამ 300 მანეთად გამოიწერა სამი მძებარი ძაღლი—„ლედი“, „ლაზი“ და „დიანა“. ერთი ვერსის სიშორეზე დამალეს ნივთები, მაგრამ ძაღლები ისე დაგეშილნენ გამოდგნენ, რომ ნივთები

იპოვნეს. ორი კაცი წავიდა ჩუმად დიდ მანძილზე და მიიძალა. ამათ ცხვირსახოცს დაასუნებინეს ძაღლებს და შემდეგ გაუშვეს მოსაძებნად. ძაღლებმა მსწრაფლ იპოვნეს დამალულნი ერთ სახში.

* * ჟურნალისტთა კრება. ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრების გაგრძელება დაინიშნა შაბათს, 6 მარტისთვის, საბჭოს დარბაზში. ამ საღამოს კრება აირჩევს სასამართლოს წევრებს „პრესის სინდიკატის“ საქმის განსახილველად.

ბ-ნო რედაქტორო!

თუმცა მელიტონ ჩოგავაძის დიდებულმა გასვენებამ მის პატივისმცემელთ სიცოცხლე შეგვიძინა და დაგვატკბო, მაგრამ მისი სიკვდილი ჯერ ვერ მოგვრწმუნებია და დიდ ხანს დარჩება მოუნვლებელი. ბევრი საგრძნობელი სიტყვები წამოითქვა მისი ცხედრის წინაშე არაგადამეტებული, არამედ გამომხატველი სრული ქეშმარიტებისა. ქება და დიდება მათ, ვინც ასე მოაწესრიგა დამარხვის პროცესია ჩვენი სასაქადალოლო მამულის შვილისა, დაულალავი მუშაკისა, პატიოსნებით სავსე კაცისა და მკოდნე პედაგოგისა. ყველიმ კარგათ ვიცით, თუ როგორ უზრუნველ დასტოვა განსვენებულმა მშობელი დედა. დები და ძმები. აი ეხლა არის საქირო ამ უკანასკნელების დახმარება. ვისაც ჩვენი მელიტონი უყვარდა, აფასებდა მის ღვაწლს და შრომას, იყო მისი დაახლოვებული ძმა და ამხანაგი, შევერთდეთ ერთად და დავდვათ ჩვენს საღმთო მოვალეობად, რომ მის ძმას, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ილია ჩოგავაძეს მიეცეს ჩვენგან კურსის დასრულებამდის ნივთიერი დახმარება, რითაც მისი მოხუცებულ დედას მასაზრდოვებელ შვილს აღუდგენთ. ამასთანავე დავსძენ, რომ მარტო სიტყვების რახარუხი არ კმარა, უსათუოდ სიტყვა საქმედ უნდა იქცეს, თორემ ისე ყველა ჩვენს მოქმედებას ფლიდობათ ჩამოგვართმევს. რასაკვირველია, ერთისთვის საძნელო იქნება ამ აზრის განხორციელება, მაგრამ მთელი ჯგუფისთვის ძლიერ ადვილია. მე ჩემი მხრით დღეის რიცხვიდამ გადამიდგია **მარი მანეთი** მელიტონის ძმის სასარგებლოდ მისი კურსის დამთავრებამდის შეუწყვეტელათ. მაშ! შემოკრებით მელიტონის, გულით პატივისმცემელნო, ფონის რედაქციაში და განაცხადეთ თქვენი სურვილი და თანხმობა ჩემს მოწოდებაზე.

პატივის ცემით ქუთაისის სავაჟო კლასიკურ გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი კრამლაზ კანდელაკი.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა-და-სხვა რედაქციებსაც გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი, მით უმეტეს, რომ სხვა ქალაქებშიაც არიან მელიტონის ძმა და ამხანაგები, რომელებიც იმედია, თანაგრძნობით შეუერთდებიან ჩემს მოწოდებას.

ავტორი.

რედაქცია დიდის სიამოვნებით ბეჭდავს დეკ. კანდელაკის მოწოდებას და კისრულობს მიიღოს თანამგრძნობ პირთაგან შემოწირულება, გამოაცხადოს შემომწირველთა გვარი და სახელი და ფული დანიშნულებიანამებრ გადასცეს. ჯერ-ჯერობით სურვილი განაცხადეს:

- 1) დეკან. ერმალოზ კანდელაკმა (როგორც თვით მის მოწოდებაშია აღთქმული) — 2 მ. (თვიურად)
- 2) გრიგოლ გიორგაძემ — 1 მ. (თვიურად).
- 3) ტრიფ. ჯაფარიძემ*).

ვასრულებთ სიამოვნებით ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზ ერმალოზ კანდელაკის თხოვნას და ვბეჭდავთ ჩვენს გამოცემაში მის მოწოდებას. მხოლოდ არ მოგვწონს მამა კანდელაკის მოწოდებაში მისი სიტყვები: „რაც სიტყვები წარმოითქვა სრული ჭეშმარიტება არისო“, ე. ი. რაც მე ვსთქვი, სრული ჭეშმარიტება არისო! ამას თვითონ კანდელაკი კი არ უნდა სწერდეს, არამედ სხვა... ამასთან მადლობას სწირავს კანდელაკი მათ, „ვინც ასეთი დამარხვის პროცესია მოახერხაო“. კანდელაკმა, როგორც მღვდელმან, უნდა კარგად იცოდეს გარდაცვალებულთა დამარხვის ტიბიკონი ჩვენი ეკლესიისა. არ არის რიგი გარდაცვალებულის წაღებ-წამოღება, გადატან-გადმოტანა და ერთ-კვირაობით გაჩერება დაუმარხავად მხოლოდ იმისთვის, რომ ბევრი ხალხი დაესწროს გასვენებას. როცა სასულიერო წოდება არ ასრულებს თვითონ ეკლესიის წესს, როგორ შეუძლია მოითხოვოს მან ხალხისაგან წესის ასრულება და მესამე დღის შემდეგ დაუმარხავად არ დასტოვოს თავის გარდაცვალებული?..

ამასთან სამწუხაროდ მიგვაჩნია ისიც, რომ დეკ. კანდელაკს დავიწყებია სახარების სიტყვები, რომელიც ბრძანებს: „მარჯვენე ხელით რომ მოწოდებას აძლევდე, მარცხენა ხელმა არ შეიტყოს ამ მოწოდების მიცემაო“...

ყალბებს აძლევდე, მარცხენა ხელმა არ შეიტყოს ამ მოწოდების მიცემაო“...

მამა კანდელაკს ბლაღოჩინობის დროს წაღებული აქვს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან ხუთას მანეთამდე გარდაცვალებულთათვის, ესრედ წოდებული, შენდობის ფურცლები და გვირგვინაკები, რომლიდან შემოსული ფულები ხმარდება საცოდავ ობლებს და ტიტველშიშველ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა და ეს საცოდავი ობლება ცრემლით სთხოვენ და უბრუნოს ეს ფულები, მაგრამ დღემდის არაფერს აძლევს ამ საცოდავ ობლებს... ეს ფულები მაზედირიტება გადის აგერ 8—10 წელიწადი და ფულებს კი არ უბრუნებს სამმართველოს.

რედაქტორი.

ბანსხალბანი

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის ორკვირულ შუხნალს

XXVII წ. „მწემს“-ზე XXVII წ.

ქურნალის ფასი:

12 თვით 3 მან. — 6 თვით 2 მან.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბაკვირებაში — რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ზ პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გახეთი დაეთმობათ მთელის წლით **მანქანა**.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ყვარიაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: ВЪ Квирилы, въ редакцію журнала „МЦЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწემსი“-სა, რომელიც მანეთახევრად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი. რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. დამბაშაძე.

*) როგორც ჰგავს რედაქციას გამოუცხადებია შემწირველად ტრიფონ ჯაფარიძე მისდა დაუკითხავად და ფულის შეწირვას მერე გაიგებენ...



ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით ლაბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—*«მწყემსი»*-ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

- 1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უშიაერესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მოვლი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თევთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყლოთ . . . 20 კ.
- 2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
- 3. **სოცხალთა** და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20 —
- 4. **ძონდაკი** იოანე ოქროპირის წირვისა უყლოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 »
- 5. **შემოკლებული ლოცვანი** ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 »
- 6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 „

2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

- 1. **ღარიგება** საღმრთო სჯულის სწავლებაზე, პირველი ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 კ. მეორე ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 ორივე ნაწილი ერთად ყლით . . . 60 კ.
- 2. **ღაწყებითი** გაცვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15 —
- 3. **ახალი სასულიერო კონსისტორიათა** წესდებულება—ფასი . . . 30 კ.
- 5. **მღვდელთათვის** საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარბევა ჯანმრთელობის დაცვაზე.

- 1. **ახალი კარაბადინი**, მეორე გამოცემა დაბატებით, რომელიც განხილული, მოწო-

ნებული და ნება-დართულია კავკასიის საეკიპო რჩევასაგან ყლით ფასი . . . 1 მ. უყლოთ . . . 60 კ.

2. **ღარიგება მხედველობის** დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10 —

3. **ჯანმრთელობა** და ავადმყოფობა ექიმის საუბარით . . . 5 კ.

4. შესანიძნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

- 1. **მცხეთის ტაძარი** და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
- 2. **ბელათის მონასტერი** და ცხოვრების აღწერილობა მკჟის დავით აღმაშენებ. . . 15 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 20 „
- 3. **შიო მღვმის მონასტერი** და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
- 4. **მთავარ-მოწ. დავით** და **კონსტანტინე** და **მოწამეთის მონასტერი**.—ფასი . . . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
- 5. **მარძიის მონასტერი**, ფასი . . . 5 კ.
- 6. **მარტილის მონასტერი** . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარბეებით.

- 1. **ღვთის-მშობლის დაბადება**, სურათით . . . 2 —
- 2. **ბაძად მიყვანება** ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2 —
- 3. **ამალღება** პატიოსნისა და ცხრველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2 —
- 4. **შობა** უფლისა . . . 2 კ.
- 5. **მირამა უფლისა**, სურათით.—ფასი . . . 2 —
- 6. **ხარამა** ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა . . . 2 —
- 7. **ბზობა** სურათით—ფასი . . . 2 —
- 8. **აღდგომა** სურათით—ფასი . . . 2 —
- 9. **მიძინება** ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, . . . 2 —
- 10. **ბელთუქნელი ხატის** ისტორია . . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიძნავი საქარ-

თველოს მეფენი და დედოფალნი:

- 1. **წმიდა მოწამე რაჭდენი**, სურათით, ფასი . . . 3 კ.
- 2. **წმ. ნინო** ქართველთ განმანათლებელი . . . 2 —
- 3. **მეფე დავით** მესამე აღმაშენებელი . . . 5 —
- 4. **თამარ მეფე**, სურათით . . . 5 —



- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
 - 6. იოანე ზედაზნელი 5—
 - 7. შუშანიკა 2—
 - 8. ქეყეან დედოფალი 2—
 - 9. არჩილ და ლუარსაბი 5—
 - 10. წმიდა ნინო რუსულად 8—
- 7. რელიგიური და სნეობრივი შინაარსის წიგნები და საუბრები:**
- 1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე ოძრუპირი, სუწათებით — ფასი 5—
 - 2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი . 2—
 - 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
 - 5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინე პლაცის მშუღლის წერილი 5—
 - 6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი 3—
 - 7 შეიღების მოვალეობა მშობელთადმი 3—
 - 8 მშობლების მოვალეობა შეიღთადმი 3—
 - 9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ 3—
 - 10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშანა 3—
 - 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
 - 12 — შრომაზე 3—
 - 13. სამგვარი სიკვდილი 5 »
- 8. მოთხრობანი დაბადებიდან.**
- 1. მუჟა სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
 - 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
 - 3. სიბრძნე იოსა ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
 - 4. იოსები 5—
 - 5. მრავალ წამებული იობი 5 კ.

ВОЗЗВАНІЕ.

Братство во имя Царицы Небесной зываетъ къ вамъ, православные, о помощи.

Цѣль Братства — призрѣвать несчастныхъ дѣтей. Дѣти калѣки, слабоумныя и припадочныя обременяють собою бѣдныя семь и осуждены на постоянную муку.

Братство приглубило уже около 500 такихъ дѣтей. Но остаются еще тысячи, нуждающихся въ помощи.

„Кто приметъ ребенка во имя Мое, тотъ Меня принимаетъ“. (Матѳея, 18).

Знайте: за этими тысячами невинныхъ страдальцевъ стоитъ Самъ Христось, протягивая къ вамъ руки, за васъ прободенныя на крестѣ.

Онъ приметъ отъ васъ, какъ подаеніе Себѣ всякій грошъ.

Откликнитесь, помогите! Во имя Его подайте на дѣло, созданное милосердіемъ Его Пресвятой Матери.

Вотъ, Онъ стоитъ, протягивая къ намъ руки. Вложимъ же въ эти пречистыя руки усердную и щедрую ленту.

Адресъ Братства во имя Царицы Небесной: С.-Петербургъ, Петербургская сторона, Большая Бѣлозерская улица, домъ № 1.

რედაქციისაგან.

- 11. მსატკრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.**
- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
 - 3. თამარ მეფე 25 კ.
- იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.
- „მწყემსი“-ს მე-3 №-ში ექსარხოების რიცხვი შეცდომით არის მოხსენებული 14 უნ- და ვიკულისხმით 16, და მართლაც 16 ექსარხოთა მოხსენებული.

Дозволено Цензурою 28 Февраля 1910 года г. Кутаисъ
რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე,

სტამბა უფრანლის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. ღ. ღ. ლამბაშიძისა) ყვირილ საკუთარ სახლში.